საქართველოს მთავრობის

დადგენილება №300

2024 წლის 13 სექტემბერი

ქ. თბილისი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №558 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №558 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2023, 280120000.10.003.024391) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის“:

1. №1 დანართის („სოციალური რეაბილიტაციის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამა“):

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები (კომპონენტები)

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 21 040 000 ლარს. პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და კომპონენტებია:

დანართი №	**ქვეპროგრამის/კომპონენტის დასახელება**	**ლარი**
1.1	**დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის (შშმ პირები) ქვეპროგრამა**	3 200 000
1.2	**დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	7 740 000
1.2.1	ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი	2 279 310
1.2.2	აბაზანის/საპირფარეშოს დამხმარე სკამებით უზრუნველყოფის კომპონენტი	5 000
1.2.3	საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი	3 496 880
1.2.4	სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი	1 909 350
1.2.5	ყრუ და სმენის არმქონე შშმ პირთა ვიდეოკონფერენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური საშუალებით (სმარტფონით) უზრუნველყოფის კომპონენტი	21 000
1.2.6	ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი	14 460
1.2.7	უსინათლოთა ხელჯოხებით უზრუნველყოფის კომპონენტი	14 000
1.3	**ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა**	80 000
1.4	**სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა:**	9 000 000

1.4.1	ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
1.4.2	შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობისთვის მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების უზრუნველყოფის კომპონენტი: ა) შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი; ბ) ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტი; გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა მცირე საოჯახო ტიპის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
1.4.3	18 წლისა და მეტი ასაკის ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტი	
1.4.4	ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი	
1.5	**ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა**	20 000
1.6	**პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	560 000
1.7	**შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	440 000
	ჯამი:	**21 040 000.“;**

ბ) №1.2 დანართის („დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ქვეპროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 7 740 000 ლარით.“;

გ) №1.2.1 დანართის („ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 2 279 310 ლარით.“;

დ) №1.2.2 დანართის („აბაზანის/საპირფარეშოს დამხმარე სკამებით უზრუნველყოფის კომპონენტი“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 5 000 ლარით.“;

ე) №1.2.3 დანართის („საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 3 496 880 ლარით.“;

ვ) №1.2.4 დანართის („სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი“):

ვ.ა) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ციფრული სმენის აპარატისა და 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის პედიატრიული ციფრული სმენის აპარატის გაცემა;“;

ვ.ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 909 350 ლარით.“;

ზ) №1.2.6 დანართის („ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 14 460 ლარით.“;

თ) №1.2.7 დანართის („უსინათლოთა ხელჯოხებით უზრუნველყოფის კომპონენტი“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 14 000 ლარით.“;

ი) №1.6 დანართის („პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 560 000 ლარით.“;

კ) №1.7 დანართის („შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 440 000 ლარით.“.

2. №2 დანართის („ბავშვზე ზრუნვისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამა“):

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამით, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 55 310 000 ლარს, გათვალისწინებული ქვეპროგრამებია (კომპონენტებია):

დანართი №	**პროგრამის დასახელება**	**ლარი**
2.1	**კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა**	4 000 000
2.1.1	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების კომპონენტი	
2.1.2	ხელოვნური კვების საჭიროების მქონე ბავშვთა საკვები ვაუჩერით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.1.3	ფენილკეტონურის/ცელიაკიის საკვები ვაუჩერით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.2	**ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა**	7 463 000
2.3	**ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა**	14 517 000
2.4	**დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის (6-იდან 18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე და არმქონე ბავშვები) ქვეპროგრამა**	5 500 000
2.4.1	6-იდან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სოციალური ინკლუზიის დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.4.2	6-იდან 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვების დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.4.3	მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის (6-იდან 18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე ბავშვები) კომპონენტი	

2.4.4	ანტისოციალური და რთული ქცევის მქონე მოზარდების დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.4.5	სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ფსიქოსოციალური კონსულტირების მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.5	**დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	740 000
2.6	**მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა**	13 000 000
2.7	**მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	2 950 000
2.7.1	მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.7.2	სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.8	**მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	1 130 000
2.8.1	მობილური ჯგუფით მომსახურების უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.8.2	მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.8.3	მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო თავშესაფრით მომსახურების უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.9	**განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	3 100 000
2.9.1	შშმ ბავშვთა ბინაზე მოვლის კომპონენტი	
2.9.2	7-იდან 18 წლამდე ასაკის რთული ქცევის მქონე ბავშვთა ბინაზე მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.9.3	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვან პირთა ბინაზე ასისტენტით უზრუნველყოფის კომპონენტი	
2.10	**მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა**	760 000
2.11	**მზრუნველობამოკლებული ბავშვების რეინტეგრაციის ქვეპროგრამა**	1 160 000
2.12	**სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული** **18-21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერის ქვეპროგრამა**	185 000
2.13	**სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული** **18-21 წლამდე ახალგაზრდების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**	5 000
2.14	**ხანგრძლივი პედიატრიული მოვლის სამედიცინო-სოციალური ცენტრის მომსახურება**	800 000
	ჯამი:	**55 310 000.“;**

ბ) №2.2 დანართის („ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 7 463 000 ლარით.“;

გ) №2.3 დანართის („ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 14 517 000 ლარით.“;

დ) №2.7 დანართის („მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 3. ქვეპროგრამის ბიუჯეტი**

ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 2 950 000 ლარით.“;

ე) №2.8 დანართის („მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 3. ქვეპროგრამის ბიუჯეტი**

ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 130 000 ლარით.“;

ვ) №2.9 დანართის („განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 3. ქვეპროგრამის ბიუჯეტი**

ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 3 100 000 ლარით.“;

ზ) №2.10 დანართის („მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 760 000 ლარით.“;

თ) №2.12 დანართის („სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 185 000 ლარით.“;

ი) №2.13 დანართის („სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 5 000 ლარით.“;

კ) №2.14 დანართის („ხანგრძლივი პედიატრიული მოვლის სამედიცინო-სოციალური ცენტრის მომსახურების ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 800 000 ლარით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**